პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 9 იანვარი № 7 (16744) ფასი 2 კაპ. 1977

ცენტრალური კომიტეტის აზრით

1977 წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ახლა განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი მუშაობის ორ გადაუდებელ მიმართულებას:

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას და პირუტყვის გამოზამთრებას.

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წერილიდან.

პარტიის ხმა ხალხის ხმაა

საქართველოს მშრომელთა ერთსულოვნება

ბუშინ გაზეთების მიღებისა და რადიოთი და ტელევიზიით გადმოცემის შემდეგ საქართველოს მშრომელები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მომწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის მიმართ. ისინი ერთსულოვნად იწონებენ მას და კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს მეათე ხუთწლედის მეორე, საიუბილეო წლის გეგმების ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ქვემოთ ვბეჭდავთ პირველ ბარათებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ წერილზე.

ასეთია ჩვენი პასუხი

ყველა დამეთანხმება, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველი დადგენილება თუ წერილი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის ნათელი გამოხატულებაა.

ასეა ამჯერადაც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის გაცნობის შედეგად ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა თანმიმდევრულად ფიქრობს ჩვენი პარტია ახალი, მეათე ხუთწლედის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის.

ჩვენ, ზემოქედელი მექანიზატორები ერთხმად ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს და ვიძლევით პირობას, რომ ახალი ძალით გავაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ უამინდობა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით დაძლია და უხვი მოსავალი — ჰექტარზე 43 ცენტნერი მარცვალი მიიღო, აგრეთვე სახელმწიფოს 4 ათას ტონაზე მეტი მარცვალი მიჰყიდა.

წლევანდელ მოსავალზეც თავის დროზე ვიფიქრეთ და ვიზრუნეთ, საშემოდგომოდ მხოლოდ მაღალკონდიციური თესლი დავთესეთ. ახლა მთავარია, რომ უხვი მოსავალი მოვიწიოთ, ამიტომ აგროწესების ზუსტად დაცვით ვუვლით ნათესებს.

საგაზაფხულო თესვისათვის მზად გვაქვს მაღალხარისხოვანი თესლი. ჩვენმა მექანიზატორებმა ვადაზე ადრე შეასრულეს მანქანების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა. ჩვენი ტრაქტორები, სათესები და სხვა მანქანები საგაზაფხულო თესვისათვის მზად არის.

ნ. მელიქიშვილი,

წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

მოსავალი ქარხანაშიც იწყება

უდიდესი ინტერესით და ერთსულოვანი მოწონებით აღიქვა რუსთავის ქიმიური ქარხნის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მომწოდებელი მრეწველობის მუშაკების, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი. ცალკეში, ბრიგადებში ახალ მიჯნებს სახავენ.

ამიაკის სინთეზის საამქროს უფროსმა მეაპარატემ ა. ენუქიძემ თქვა:

— წერილში აღნიშნულია, რომ 1977 წელს სოფლის მეურნეობა მიიღებს დიდძალ მინერალურ სასუქებს. ისიც ნათქვამია, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა ფაქტები, როცა დიდძალი სასუქები იკარგება იმის გამო, რომ ქარხნები არღვევენ მათი გაგზავნის წესებს.

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი წელი — უკვე გეგმის გადაჭრებით წარმოებულია 350 ტონა მინერალური სასუქები, ასობით ტონა ამიაკი და სხვა პროდუქცია. ახლა ჩვენ ვამუშავებთ ღონისძიებებს იმისათვის, რომ არც ერთი გრამი სასუქი არ დაიკარგოს და დროულად მიაღწიოს მინდვრებსა და პლანტაციებში.

ა. ენუქიძეს მხარი დაუჭირა ამონიუმსულფატის საამქროს ცვლის უფროსმა **ნატალია ივანოვამ:**

— პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა, რომ სოფლის მეურნეობაში ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი, ჩვენ, ქიმიკოსებს, გვაკავებს, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მუშაობა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მოსავალი ქარხანაში იწყება, ამიტომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უზრუნველვყოთ მუშაობის მაღალი ორგანიზებულობა, მკაფიო რიტმი, რათა დაკმაყოფილოთ სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებანი. ცალკ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, კისრულობს ვალდებულებას 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულოს დღიური დავალებანი.

დიდი, საპატიო ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილმა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს 1977 წელს დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა.

ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცხოველეობის განვითარებას. მასში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ხორცის, რძის, მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება, გაუმჯობესდეს ამ პროდუქტებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება.

ჩვენი საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ცხოველების მოვლის მოწინავე მეთოდების, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად წლითწლობით წარმატებით ასრულებდა რძის მოყიდვის წლიური დავალება. **წარჩინებული მწველავის ლეიდა პეფფსის მაგალითით გავაჩაღეთ შეჯიბრება იმისათვის,** რომ თვითეულ ძროხაზე მიგვეღო 5 ათასი კილოგრამი რძე და ამ საქმეში გარკვეული წარმატებებიც მოვიპოვეთ.

ჩვენი ფერმის ყველა მუშაკს მიაჩნია, რომ მისი პატრიოტული მოვალეობაა უფრო პროდუქტიული გახადოს მიმდინარე წელი, ახალი წარმატებანი მოიპოვოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის საპასუხოდ ვკისრულობთ ვალდებულებას ყოველდღე თავდაუზოგავად ვიმუშაოთ, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა დავამზადოთ, რაც შეიძლება მეტი ხორცი და რძე, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ მიმდინარე წლის დავალებანი.

ტ. ულეზკო,

გაგრის შრომის წითელდროშოვანი ჯეშთსანაშენე საბჭოთა მეურნეობის მწველავი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. (საქინფორმი).

მიფრინავს „მეტეორ-2"

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით მეტეოროლოგიური სისტემის შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1977 წლის 7 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორ-2", რომელზეც დაყენებულია გაუმჯობესებული საბორტო აპარატურა.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან „მეტეორ-2"-დან ინფორმაცია გადამუშავება-გამოყენებისათვის მოუვათ სსრ კავშირის ჰიდრომეტცენტრსა და გარემოსა და დედამიწის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითს ცენტრს. (საკდესი).

გამოვიდა...

„1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომის ისტორიის" მეშვიდე ტომი

გამოვიდა „1939-1945 წლების მეორე მსოფლიო ომის ისტორიის" მეშვიდე ტომი, რომელიც მოამზადა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიისა და სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტებთან ერთად. ტომი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ძირფესვიანი გარდატეხის დამთავრებასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

შრომაში ფართოდ არის გამოყენებული სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დოკუმენტები და ახალი დოკუმენტური წყაროები.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის შესახებ

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებმა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნეს არმიის გენერალი ვიქტორ გიორგის-ძე **კულიკოვი.**

საქართველო 5 მილიონიანი რესპუბლიკაა

საქართველოს სსრ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ

1977 წლის 8 იანვარს საქართველოს სსრ მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია.

1897 წლის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 1.894 ათას კაცს შეადგენდა. 1921-1976 წლებში მოსახლეობის მატება 2,6 მილიონი შეადგინა, ანუ ერთიორად და მეტად გაიზარდა.

(ათასი კაცი)

	სულ მოსახლეობა	ქალაქისა	სოფლისა	მთელი მოსახლეობის პროცენტულად	
				ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1897 წ. მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემებით	1894,2	359,0	1535,2	19,0	81,0
1917 წლის დამდეგს	2338,0	423,0	1915,0	18,1	81,9
1921 წლის დამდეგს	2411,0	475,0	1936,0	19,7	80,3
1939 წ. აღწერის მიხედვით 17 იანვრისათვის	3540,0	1066,2	2473,8	30,1	69,9
1959 წ. აღწერის მიხედვით 15 იანვრისათვის	4044,0	1712,9	2331,1	42,4	57,6
1970 წ. აღწერის მიხედვით 15 იანვრისათვის	4686,4	2239,8	2446,6	47,8	52,2
1977 წლის დამდეგს	4999,0	2557,0	2442,0	51,2	48,8

ამ პერიოდში ქალაქის მოსახლეობის წილი 19,7 პროცენტიდან 51,2 პროცენტამდე გაიზარდა. ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მიმდინარეობდა ბუნებრივი მატების, სოფლის დასახლებული პუნქტების საქალაქო პუნქტებად გარდაქმნის, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაციის გზით, რაც სამრეწველო წარმოების განვითარებასთან და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან არის დაკავშირებული.

ცვლილებები ხდებოდა აგრეთვე მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში. სწორდება უკანასკნელი ომის შედეგად ქალებისა და კაცების რაოდენობის დარღვეული თანაფარდობა. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოს მთელ მოსახლეობაში კაცები 53,4 პროცენტს შეადგენენ, ხოლო 1926 წლის აღწერის მონაცემებით — 50,5 პროცენტს. 30-იანი წლების დამდეგიდან, და განსაკუთრებით ომის შედეგად, ეს თანაფარდობა თანდათან იცვლება ქალთა მოსახლეობის გადიდების მხრივ. 1939 წელს ქალები 50,1 პროცენტს შეადგენენ; 1959 წელს — 53,9 პროცენტს, 1970 წელს — 53,0 პროცენტს, 1976 წელს — 52,9 პროცენტს. 1959 წელს 47 წლამდე ასაკის ქალების რიცხვი კაცებისას 157 ათასით სჭარბობდა, ხოლო 1976 წლის დამდეგს — 32,8 ათასით.

1975 წლის დამლევს 4 მილიონ 304 ათასს, ანუ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 87 პროცენტს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაბადებულნი შეადგენდნენ.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდის საფუძველზე სისტემატურად მაღლდება საქართველოს სსრ მოსახლეობის ცხოვრების დონე. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა.

განუხრელად მაღლდება განათლებისა და კულტურის დონე, ნიადაგ უმჯობესდება რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. 1.000 კაცზე გაანგარიშებით უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონე პირთა რიცხვით (როგორც მთელი, ისე სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობისა) საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს ქვეყანაში, ხოლო 10 ათასზე ექიმების რაოდენობით — პირველი ადგილი მსოფლიოში.

5-მილიონიანი მრავალეროვანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ყველა მომძმე რესპუბლიკასთან ერთად წარმატებით ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობებს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შრომითი წარმატებებით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

განსაკუთრებული დღე საქართველოს ისტორიაში

წლევანდელი 8 იანვარი განსაკუთრებული დღეა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში. როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, ამ დღეს საქართველოს მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი ნიუანსსვეტია რესპუბლიკის დემოგრაფიულ განვითარებაში.

1897 წელს, როცა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა მოეწყო, საქართველოს ტერიტორიაზე 1894,2 ათასი კაცი ცხოვრობდა. ამრიგად, განვლილი 80 წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი 2,6-ჯერ გადიდდა, ხოლო 1921 წელთან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წელთან შედარებით — ერთიორად და მეტად.

რესპუბლიკაში მეხუთმილიონე მოქალაქის გაჩენა ღირსშესანიშნავი მოვლენაა. საქართველოში ყოველდღიურად 250-მდე ბავშვი იბადება, ხოლო წელიწადში — დაახლოებით 90 ათასი.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად განუხრელად მაღლდება მისი განათლებისა და კულტურის დონე, მტკიცდება ჯანმრთელობა, იზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრული, მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური პოლიტიკის შედეგია. საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნების ზემოქმედებით იცვლება დემოგრაფიული პროცესებიც. ეს პროცესები, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „უშუალოდ დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალური ორგანიზმის აგებულებაზე".

სოციალისტურ საზოგადოებაში მოსახლეობის პრობლემას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანასთან ერთად, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზნის განხორციელების — ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების ყველაზე სრული დაკმაყოფილების ამოცანასთან ერთად უნდა განვიხილავდეთ. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა. უახლოეს წლებში, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა პარტიის XXV ყრილობაზე, „ახალი შესაძლებლობები გვექმნება იმ ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც დაგვისახეს პარტიის პროგრამამ, უკანასკნელმა ყრილობებმა".

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ნიადაგ ზრუნავენ ოჯახების განმტკიცებისა და კეთილდღეობისათვის, ახალი ოჯახების შექმნისათვის. ამ ზრუნვის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა გრანდიოზული სოციალური პროგრამა, რომელიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ დასახა.

მარტო მეცხრე ხუთწლედის მანძილზე საქართველოში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე საბინაო მშენებლობაში ათვისებულია მილიარდ 37 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება და აშენდა 137,2 ათასი ბინა.

მეათე ხუთწლიანი გეგმა, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა წინა გეგმა, დიდ ასიგნებებს ითვალისწინებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული დედისა და ბავშვის ინტერესების უზრუნველყოფასთან.

ჩვენს ქვეყანაში ქალს, რომელიც დედობისათვის ემზადება ან უკვე დედა გახდა, ბევრი შეღავათი და პრივილეგია ეძლევა. მათ შორის არის ორსულობისა და მშობიარობის ფასიანი შვებულება, წლიური დამატებითი შვებულება, როცა დედას ენახება სამუშაო ადგილი და უწყვეტი შრომითი სტაჟი; სხვადასხვა ფულადი დახმარება, ჩვრილშვილი დედების ერთდროული და ყოველთვიური დახმარება, ხანატორიუმ-პროფილაქტორიუმების უფასო საგზურები, წესების კომპლექსი, რომელიც ორსული და მეძუძური ქალების შრომას იცავს, და ბევრი სხვა რამ. მარტო 1975 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში ორსულობისა და მშობიარობისათვის განკუთვნილ დახმარებებს, ბავშვების მოვლის საგნებსა და კვებას, ჩვრილშვილი და მარტოხელა დედების დახმარებას 16,3 მილიონი მანეთი მოხმარდა.

რესპუბლიკის საბავშვო ბაღებსა და ბაგებში სკოლამდელი ასაკის 142,5 ათასამდე ბავშვი იზრდება. მათი შენახვის ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფომ იკისრა. ამ მიზნებს, აგრეთვე ბავშვთა მოვლა-პატრონობას პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სახლებსა და სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებებში 1975 წელს 40 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა. 8 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის დახმარებებზე 38 მილიონამდე მანეთი დაიხარჯა.

მნიშვნელოვან სახსრებს ახმარს სახელმწიფო აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების შენახვას. 1975 წელს ამ თანხამ 200 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

დღეს ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ ჩვენს რესპუბლიკაში 72 წელიწადს მიაღწია! განუხრელად მცირდება ჩვენში ავადობა. და აქ კეთილი სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი სახალხო ჯანმრთელობის დაცვა. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, სადაც სახელმწიფომ უფასოდ დაიწყო მოსახლეობის სამედიცინო დახმარება. საქართველოში 20.372 ექიმია. ყოველ 10 ათას სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. რესპუბლიკის მთელი ექიმების 70 პროცენტს ქალები შეადგენენ. სხვათა შორის, უკანასკნელ წლებში ქალები სულ უფრო შესამჩნევ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებშიც. საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტებს შორის ისინი 51,2 პროცენტს შეადგენენ, აქედან საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის — 56,2 პროცენტს.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ეროვნული შემოსავლის, კერძოდ მისი იმ ნაწილის გადიდების პირობებში მიმდინარეობს, რომელიც მოხმარებისათვის იხარჯება. 1971-75 წლებში ეროვნული შემოსავალი რესპუბლიკაში 30 პროცენტით და მეტად გაიზარდა. ამ სიკეთით თანაბრად სარგებლობენ საქართველოში მცხოვრები ათობით ერთა და ეროვნებათა წარმომადგენლები. საგულისხმოა ასეთი მონაცემები: ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარება რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1975 წელს 1955 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა, რძისა და რძის პროდუქტებისა ორჯერ და მეტად გადიდდა, ბოსტნეულის და ბაღჩეულისა — 1,5-ჯერ, თევზის და მისი პროდუქტებისა — 1,5-ჯერ. კანონზომიერია, რომ ხალხის მატერიალური შეძლების ზრდის კვალობაზე დაახლოებით 22 პროცენტით შემცირდა პურისა და პურეული პროდუქტების მოთხოვნა.

...მაშ ასე, გუშინ საქართველოს მოსახლეობამ ხუთ მილიონს მიაღწია, დღეს კი ამ მიჯნასაც გადააჭარბა. მაშ ვუსურვოთ იმათ, ვინც ამ დღეებში დაიბადა, დამდგარიყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ და ემრავლებინოთ მისი დიდება, განემტკიცებინოთ მისი ძლიერება. (საქინფორმი).



დიდება 5 მილიონიან საბჭოთა საქართველოს!

მხატვარი ბ. ლომიძე.

წერილში, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, მეცნიერებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებს, საბჭოთა კავშირის ყველა წარმომელს, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცხოველეობას. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, ყველა კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობების მუშის გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, გაუმჯობესონ ამ პროდუქტებით კალაჭებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება".

საქართველოს მეცხოველეებს, ყველას, ვისზეც დამოკიდებულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომი განვითარება, კარგად ესმით მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა, და მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი წარმატებით შეასრულონ ისინი. სწორედ ამის ღადასტურებაა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მეცხოველეებმა იკისრეს მიმდინარე წლისათვის, ხუთწლედის მეორე წლისათვის, ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

დუშეთის რაიონი

გასული წლის ძნელი კლიმატური პირობების მიუხედავად, რაიონის მეცხოველეებმა საგრძნობი წარმატებანი მოიპოვეს. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ცხვრის სულადობის 1977 წლის 1 იანვრისათვის გეგმით გათვალისწინებული 104.474-ის ნაცვლად შეიდგინა 110.500 სული, აქედან 56 ათასი ნერბი. 1976 წელს ბატკნის რაოდენობა 1975 წელთან შედარებით 1.345-ით გაიზარდა; ყოველ ას ნერბზე მიღებულია 89 ბატკანი, საგეგმო 85-ის ნაცვლად. გადაკრბებით შესრულდა ბატკნის წარმოების გეგმა, იყო პირუტყვის გაწყდომამ. წინასწარი გაანგარიშებით, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი მეცხოველეობისაგან მიიღებენ 615 ათას მანეთ წმინდა მოგებას.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ალსანიშნავად

მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის

რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების 1977 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

მეცხოველეობაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია რაიონის ორმა კოლმეურნეობამ — გუდამაყრისა და ფასანაურის მეურნეობებმა.

გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეებმა იმსჯელეს თავიანთი შარშანდელი მუშაობის შედეგებზე და გადაწყვიტეს პირუტყვის მოვლის გაუმჯობესების, საკვები ბაზის გაძლიერების გზით კიდევ უფრო ამაღლონ დარგის რენტაბელობა, შეუქმნან მას მკვიდრი საფუძველი. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მეზობელი ფასანაურის კოლმეურნეობა და ვალდებულება იკისრეს, რომ 1977 წელს:

ცხვრის მოვლის გაუმჯობესების შედეგად უდანაკარგოდ გამოაზამთრებენ ცხვარს ყიზლარის საძოვრებზე ამ ზამთარში;

1978 წლის 1 იანვრისათვის ცხვრის სულადობას გეგმასთან შედარებით გაზრდიან 1.900 სულით, აქედან 200 ნერბით; საერთო ნამატს — 810 სულით; ხორცის წარმოებას — 100 ცენტნერით, მატყლისას — 49 ცენტნერით, ყოველ ას ნერბზე მიიღებენ 91 ბატკანს საგეგმო 85-ის ნაცვლად; ყოველ ცხვარზე საგეგმო 2,5 კილოგრამის ნაცვლად მიიღებენ 2,7 კილოგრამ მატყლს; ცენტნერი ხორცის თვითღირებულებას შეამცირებენ 3 მანეთით, ხოლო მატყლისას 20 მანეთით დაგეგმილთან შედარებით;

აამაღლებენ დარგის რენტაბელობას 10 პროცენტით;

დაამზადებენ 5 ათას ტონა უხეშ საკვებს;

მინიმუმამდე შეამცირებენ პირუტყვის გაწყდომას;

28-დან 35 კილოგრამამდე გაზრდიან ჩასაბარებელი ცხვრის საშუალო წონას.

ფასანაურის კოლმეურნეობის მეცხვარეებმა მიიღეს გუდამაყრელთა გამოწვევა და თავის მხრივ ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს:

1978 წლის 1 იანვრისათვის ცხვრის საგეგმო სულადობა გაზარდონ 600-ით, აქედან ნერბისა — 100-ით; მიიღონ 620 სული ნამატ; გაადიდონ ხორცის წარმოება გეგმასთან შედარებით 110 ცენტნერით, მატყლისა — 13 ცენტნერით;

ცენტნერი ხორცის თვითღირებულება შეამცირონ 3 მანეთით, ხოლო მატყლისა — 20 მანეთით დაგეგმილთან შედარებით.

აამაღლონ დარგის რენტაბელობა 25-დან 30 პროცენტამდე;

გაადიდონ ჩასაბარებელი ცხვრის საშუალო წონა 28-დან 35 კილოგრამამდე;

მინიმუმამდე შეამცირონ ცხვრის გაწყდომა.

ფასანაურის კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა ორი ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თივა დაამზადოს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

გუდამაყრის კოლმეურნეობა ყიზლარის საძოვრებზე მეცხოველეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ააშენებს ოთხ საცხოვრებელ სახლსა და 4 ფარეხს, ხოლო ფასანაურის კოლმეურნეობა — ორ სახლსა და 2 ფარეხს.

ორივე კოლმეურნეობის კოლექტივებმა რაიონის ყველა მეცხოველეს მოუწოდეს სანმუშოდ მოაწყონ პირუტყვის გამოზამთრება.

გულრიფშის საკოლმეურნეოებათაშორისო მელოდეობის ფერმა

ფერმის მშრომელებმა, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მთელი მნიშვნელობა, კარგად შეისწავლეს თავიანთი შესაძლებლობანი, რეზერვები, და გადაწყვიტეს:

1977 წელს აწარმოონ 1.300 ცენტნერი ღორის ხორცი საგეგმო 1.200 ცენტნერის ნაცვლად;

სახელმწიფოს მიაყიდონ 1.400 ცენტნერი ხორცი საგეგმო 1.100 ცენტნერის ნაცვლად;

სახელმწიფოსათვის მისაყიდი ერთი სული ღორის საშუალო წონა გაზარდონ 105 კილოგრამამდე; ღორის საშუალო საღღეღამისო წონამატება გაადიდონ 385 გრამამდე, ხოლო სასუქებელი სულადობისა — 450 გრამამდე;

ღორის სულადობა გაზარდონ 1.450 სულამდე საგეგმო 1.200-ის ნაცვლად, აქედან ნეზვისა 160-მდე, საგეგმო 150-ის ნაცვლად; ერთ ძირითად ნეზვზე მიიღონ 14 გოჯი საგეგმო 10-ის ნაცვლად.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საკვები ბაზის შექმნას, მტკიცდრე ისეთი იაფი საკვების გამოყენებას, როგორიცაა საშმილის ნარჩენები;

ყოველი ცენტნერი ღორის ხორცის წარმოებას მოახმარონ 7 ცენტნერი საკვები ერთეული დაგეგმილი 10 ცენტნერის ნაცვლად;

მნიშვნელოვნად შეამცირონ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება და ამ გზით გაზარდონ რენტაბელობა.

მიმდინარე წელს დასახულია გაფართოვდეს მეღორეობის ფერმა, სადაც ღორის საშუალო წლიური სულადობა შეადგენს 5.000-ს და ღორის ხორცის ყოველწლიური წარმოება — 3.500-4.000 ცენტნერს.

დიდი ყურადღება დაეთმობა ვეტერინარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დროულ განხორციელებას.

იკისრა რა მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, ფერმის კოლექტივმა გულრიფშის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს მოუწოდა აქტიურად ჩაებან ხორცის წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

(საქინფორმი).

ოფიციალური განცხადება

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი არმიის გენერალი ვ. გ. კულიკოვსკი

არმიის გენერალი ვ. გ. [illegible] კოვი დაიბადა 1921 წელ[illegible]ხის ოჯახში, სკკპ წევრი 1942 წლიდან, საბჭოთა არმიაში 1939 წლიდან მსახურობს. დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილეა. 1953 წელს დაამთავრა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, ხოლო 1959 წელს — გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. ომისშემდგომ პერიოდში ბევრ პასუხსაგებ საკომანდო თანამდებობაზე მუშაობდა ჯარებში: მეთაურობდა პოლკს, მექანიზებულ [illegible] ბრიგადას, [illegible] ბრიგადას, [illegible] ბრიგადას,

საერთაშორისო მიმოხილვები
კომუნისტი
შრომა ყველა ერთიანდებოდეთ

ჩვენი მკითხველის თხოვნით

ზამთრის სასახლის იერიში „აურორას“ გასროლამ გვაუწყა. ისტორია ვერ იქნება უსიმბოლოდ, ისევე როგორც ბერლინული ტრაგედია — უქმოდ. პლანტაზე ახალი ეპოქის — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქის გარიჟრაჟი დადგა. ახალ წელს კაცობრიობა ამ მსოფლიო-ისტორიული მოვლენის მესამოცე წლისთავს იზეიმებს. უკანასკნელად „ავროორაზე“ მაშინ ვიყაე, როცა მას სახალხო ანგოლის პრეზიდენტი აგოსტინიონეტო ეწვია. და ეს ვიზიტი უკვე სიმბოლური და მით უმეტეს ოქმისებური კი არ იყო არამედ ბუნებრივი გახლდათ.

აი რატომ გავიხსენე ეს ვიზიტი. ამჟამად მტკიცე მშვიდობის მიღწევა რეალობად იქცა, რადგან ისტორიის მსვლელობას განსაზღვრავს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლების მძლავრი კავშირი. ამ კავშირის ძლიერება მრავალმხრივია. იგი იმითაც ყლინდება, რომ ხელს უწყობს დასავლეთის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა შორის საღი აზრის გამარჯვებას. იქ, სადაც წინათ ეშვები იზრდებოდა, ახლა სიბრძნის კბილები ამოდის. პოლიტიკურ რეალობათა ცნობის შედეგად შობილი საღი აზრი თავის მხრივ მტკიცე მშვიდობის კომპონენტი ხდება. უმთავრესად შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ შემობრუნება. უამისოდ ვერც კი წარმოვიდგენდით ჰელსინკის შეხვედრას და მით უმეტეს მის წარმატებას.

„სტილი თავად ადამიანია“, — ამბობენ ფრანგები. სიტყვები „დაძაბულობის შენელება“ საერთაშორისო ლექსიკონში ფრანგული ენიდან არ შემოსულა. კაცობრობამ წვალებით, მოიპოვა ეს თავისი ხანგძლივი და მწარე გამოცდილებით, რათა მეოცე საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობის სტილად, მის გაბატონებულ ტენდენციად იქცია. დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, და ეს უკვე ღამის ბანალობამდე მისულ მოდად იქცა, თითქოს დაძაბულობა ის ქუნა იყოს, რომელზეც ცალმხრივი მოძრაობაა, რადგან მისგან სარგებლობას მხოლოდ საბჭოთა კავშირი იღებსო. ამ მოსაზრების აღმოჩენები თავიანთ თავს ულოცავენ მოხერხებულ, როგორც მათ ჰგონიათ, პრობაგანდისტულ „ნაპოვნს“, იგი მათ ემშაკურად და ეფექტიანად ესახებათ. ბრძენი არიან! ეს ხომ ნაპოვნი კი არა, ბუმერანგია! თუ დაძაბულობის შენელება მხოლოდ საბჭოთა კავშირს აძლევს ხელს, „ბასსადამ, ვიღაცას მხოლოდ დაძაბულობა უნდა აძლევდეს ხელს. აბა სცადეთ შეხთავაზოთ ასეთი ალტერნატივა ხალხებს და დაინახავთ, რა ეამოთა აქედან. როგორც სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე ხელმოწერათა შეგროვება გვიჩვენებს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განიარაღების პრობლემათა კომპლექსის თაობაზე საბჭოთა წინადადებების განხილვა გვიჩვენებს, ხალხები დაძაბულობის შენელების მომხრენი და დაძაბულობის წინააღმდეგნი არიან; იგი ხელს აძლევს ყველას, ვისაც ქვეყნად მტკიცე მშვიდობა სურს.

დიახ, დაძაბულობის შენელება ის ქუჩაა, რომელზეც მრავალმხრივი მოძრაობაა. მაგრამ იგი ერთმანეთ ქუჩაა, რომელსაც შეუძლია კაცობრობა რაკეტულ-ატომური ჩიხიდან გამოიყვანოს. ეს ძნელად სავალი ქუჩაა, მაგრამ გზა სიარულმა დალიაო, ამბობს ანდაზა.

თავე ნება მივცემ აქ საკითხს ცოტაოდენი ვადაკუხვეო. კალიფორნიაში წყნარი ოკეანის ნაპირას ერთი მოხუცი ცხოვრობს; იგი 81 წლისაა, მას პლენი ვინგო ქქვია. აღლახან მისი ფოტოსურათი ამერიკის ყველა გაზეთმა დაბეჭდა. მაინც რით გაითქვა მან სახელი, რა გმირობა ჩაიდინა? პლენი ვინგო მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენია უკანსკელად. დიახ, დიახ, სწორედ უკანსკელად. ეს რეკორდი ვინგოს ჯერ კიდევ 1931 წელს დაუწყარებია. როცა უკანსკელით 15 ათას კილომეტრამდე გაუვლია — სანტა-მონიკიდან სტამბოლამდე!

მას შემდეგ პლენი ვინგოს რეკორდს ვერავინ აჯობა, რეკორდსმენი კი პენსიაზე გავიდა. მაგრამ ახლახან ვინგომ გადაწყვიტა ახალგაზრდობა ტაქსისენინა. ჯოხით და, ავტომობილუს რომ აქვთ, ისეთი გვერდით სარკეებიანი სათვალით, შეიარაღდა (იგი ცხენის თვალსაფარებს მოგვაგონებს) მოაწყო, ასე ვთქვათ, მინი-ლაშქრობა ისევ და ისევ სანტა-მონიკიდან და 400 მილი გაიარა. ვინგოს ლაშქრობას სარეკლამო მიზნით აფინანსებდა ყოველგვარ ექსტრავაგანტურობათა მუზეუმი, რომელსაც ეწოდება „გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა“.

სამწუხაროდ, პლენი ვინგოსნაირი ჯენტლმენები მარტო სპორტულ სარბიელზე კი არა, საერთაშორისო სარბიელზეც. ჯერ ისევ მოღვაწეობენ. ისინი კვლავინდებურად სრიალებენ „ცივი ომის“ გამდნარ ყინულზე, უკუმოძრაობენ და ამავე დროს ცდილობენ სხვებიც გაიყოლიონ. თუმცა ამაო, მაგრამ მაინც ფრიად საშიში საქმეა პლენი ვინგოს უწყინარ გართობათაგან განსხვავებით, და მას, რა თქმა უნდა, არ აფინანსებს ექსტრავაგანტური მუზეუმი. ექსტრავაგანტური სახელწოდებით — „გინდ დაიჯერეთ გინდ-არა“.

მაგალითები გნებავთ? ინებეთ. ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, უფრო სწორად, ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა სახსრებით ევროპაში შეიკრიბა კაპიტოლიუმის ბორცვის ბინადართა ჯგუფი. ისინი ტურისტებად კი არ შეიკრიბნენ, არამედ იმის „შემოწმების“ კონტროლიორებად, თუ როგორ ახორციელებენ ჰელსინკში ხელმოწერილი დასკვნები აქტის დებულებებს „საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები. ნუ დავსვამთ რიტორიკულ კითხვას — ვინ მისცა მათ ამის უფლება? მარტო ის ვთქვათ, რომ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ასეთი მოურიდებელი ჩარევა ერთხელ კიდევ არღვევს ჰელსინკის შეთანხმებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით, თანამედროვე სამყაროში შეიარაღებას ულეწყდაში დახლოებით 300 მილიარდი დოლარი ხმარდება, ანუ ყოველ ორ წუთში მილიონ დოლარზე მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე საათის გამალებული შეიარაღება კაცობრიობას ოცდაათი მილიონი დოლარი უჯდება. მითიურ ათლანტს თავის მხრებით ეჭირა ცის თაღი. კაცობრობას აიძულებენ ზხრებით ზიდოს თვითმკვლელობის იარაღი, რომელიც, თუნდაც რომ არ ამოქმედდეს, საშინელი სიმძიმით — მატერიალური და მორალური სიმძიმით ხრის მიწისკენ, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ მოსწყდა თავისი წინა კიდურებით და ხელს უშლის დაანახოს ცის თაღი — უომო და უიარაღო მომავალი.

ბუნებაში დრო მხოლოდ და მხოლოდ წინ მიდის. სამაყაროს არ ახასიათებს წარსულში მოგზაურობა. ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება. ადამიანთა საზოგადოების ისტორია იმავე კანონებს ემორჩილება, მაგრამ მას ახასიათებს ზიგზაგები, გადახვევები. საზოგადოებრივი განვითარების შეუქცევადობა მექანიკური პროცესი არ გახლავთ. იგი ფაფუქით უნდა მოვიპოვოთ, დავიცვათ. ეს სავსებით შეეხება დაძაბულობის შენელებასაც. მშვიდობა ადამიანთა ოცვეკაც არის და მოვალეობაც. ოკნებას რომ ფრთა შეესხას, მოვალეობა უნდა შევასრულოთ.

სოციალისტური ქვეყნები შუდამ აღსავსენი იყვნენ ამ დიდი მოვალეობის გრძნობით. იგი საფუძვლად უდევს ჩვენს მსოფლმხედველობას. თუმცა მსოფლმხედველობა რამდენადმე პასიური სიტყვაა. უმჯობესია ვთქვათ — მსოფლიოს გარდაქმნა. სკკპ XXV ყრილობაზე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ჯერ ერთი ობიექტური კაცი ვერ უარყოფს, რომ მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე სოციალისტური ქვეყნების გავლენა სულ უფრო მატულობს, სულ უფრო ღრმავდება, და ეს, ამბანაგებო, დიდი სიკეთეა მთელი კაცობრიობისათვის, ყველასათვის, ვისაც სურს თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა, მშვიდობა და პროგრესი“.

მშვიდობის მხარეზე, განიარაღების მხარეზე არიან მძლავრი ძალები, კაცობრიობის დიდი უმრავლესობა. ახლა საქმე ის არის, რომ გავაქტიუროთ ეს ძალები, წარვმართოთ მათი მოქმედება სათანადო მიმართულებით. და აქ, ჩვენ, კომუნისტებს, სოციალიზმის ქვეყნებს ჭეშმარიტად ისტორიული პასუხისმგებლობა გვეკისრება.

ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა დიადი მიზნის მისაღწევად... ეს პასუხისმგებლობაც მხრებზე აწევს ათლანტს, მაგრამ კი არ ხრის ძას, არამედ ფრთას ასხამს. „ყველა ადამიანი მონაწილეობს ისტორიის შექმნაში, — თქვა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ლემეტრმა, — მაშასადამე, ყოველი ჩვენგანი მოვალეა, როგორც კი შეუძლია, ხელი შეუწყოს მის სიღამაზეს და საშუალება არ მისცეს უმსგავსი იყოს“. მაშ მოდით, ამერიკიდან ერომანეთს ვუსურვოთ ის, რომ ჩვენს პლანეტას კიდევ უფრო მეტი სილამაზე შეემატოთ, რათა ნაკლებად იყოს შიმშილი და სიღატაკე, მომავალისათვის და მომავლის წინაშე, ნაკლებად იყოს სიძულვილი და მეტი ნდობა გვქონდეს, ნაკლებად იყოს მოსპობის იარაღი და მეტი შრომის აღმშენებლობის იარაღი გვქონდეს. ერთი სიტყვით, ვიყოთ ჩვენი დროის — ძნელი და მშვენიერი, სოცარი და განუმეორებელი დროის ღირსნი. და მოდით, ნუ დავიიწყებთ: დრო მხოლოდ იმას ემორჩილება, ვინც დროის ნებას ემორჩილება.

მელორ სტურუა.

დრო, გზები, მიზნები

ჯ. კარტერის ეკონომიური პროგრამა

ვაშინგტონი, (საკდესი). ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა პლეინსში (ჯორჯიის შტატი) გამოაცხადა ეკონომიკის სტიმულირების ღონისძიებათა ორი წლის პროგრამა, რომელსაც მოლიანად 30 მილიარდი დოლარი მოხმარდება.

მთავარი ყურადღება მიექცევა უმუშევრობის შემცირებას. ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში 8 მილიონამდე უმუშევარია. გათვალისწინებულია აგრეთვე გადასახადების შემცირება, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ხაზით შეღავათების რამდენადმე გადიდება. უყურადღებოდ არ დარჩენილან მეწარმეებიც — კორპორაციათა გადასახადები 2 მილიარდი დოლარით შემცირდება.

კარტერმა ეს ეკონომიური პროგრამა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც ეთათბირა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებს კონგრესში, რომლებიც დაპირდნენ, რომ ხელს შეუწყობდნენ მის უსწრაფეს განხილვას საკანონმდებლო ორგანოში.

როგორც პრესა აღნიშნავს, დასაქმების გადიდებისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებებს შედარებით მცირე შედეგი მოჰყვება. როგორც განაცხადა რეიმარშალმა, რომელიც შრომის მინისტრი იქნება ჯ. კარტერის მთავრობაში, მომავალ წელს სამუშაო ადგილით უზრუნველყოფილი იქნება დაახლოებით 800 ათასი კაცი, რაც მხოლოდ ერთი პროცენტით შეამცირებს უმუშევრობას.

პეკინში

პეკინი. 8 იანვარი. (საკდესი). დღეს დილიდანვე პეკინის ცენტრში ტიანანმენის მოედანზე თავს იყრიდა ათასობით ადამიანი, რათა პატივი ეცათ ერთი წლის წინათ გარდაცვლილი ჯოუ ენ-ლაის ხსოვნისათვის. მთავარ ტრიბუნასთან მიჰქონდათ გვირგვინები.

გუშინ, და დღეს დედაქალაქის ბევრ ქუჩაში გამოჩნდა დაძიბაოები (კედელზე გასაკრავი ფურცლები და პლაკატები), სადაც ნათქვამია, რომ შარშანდელი ამბები ამ მოედანზე პროვოკაციულად გამოიწვია „ოთხთა ბანდამ“. დაძიბაოს ავტორები მოითხოვენ შარშანდელი მოვლენების ოფიციალური შეფასების „დენ სიაო-პინის საქმის“ გადასინჯვას. ზოგი დაძიბაო ამტკიცებს, რომ დენ სიაო-პინი „ოთხთა ბანდის“ მხრივ ცილისწამების მსხვერპლი გახდა. წამოყენებულია მოთხოვნა ტიანანმენის ინციდენტის გამოსაძიებლად, როცა „რევოლუციური მასების ათასობით წარმომადგენელს სცემეს, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს“.

გადაჭრით დაგმეს

ნიუ-იორკი, (საკდესი). პუერტო-რიკოს კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის ამახწინანდელი წინადადება, რომ პუერტო-რიკოს მიენიჭოს ამერიკის 51-ე შტატის სტატუსი.

აქ გავრცელებულ განცხადებაში კომპარტია აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის ნამდვილი მიზანია შოთხვას ეს ტერიტორია მისი ხალხის ინტერესებისა და მშრომელების საწინააღმდეგოდ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დარღვევაა.

ესეც შენი „თავისუფალი საქმეა“

იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს



რასიზმის მსხვერპლი

მოითხოვენ უკანონო განაჩენის გაუქმებას

უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ამერიკის საზოგადოებრიობას ამფოთებს ათი ახალგაზრდა უილმინგტონელი (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი) ზანგის უკანონო განაჩენის გამო.

1971 წელს სამხრეთის ამ შტატის ზანგმა მოსახლეობამ დაიწყო კამპანია უმაღლეს სასწავლებლებში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ. ერთ-ერთი კრების შემდეგ ზანგ აქტივისტთა ჯგუფს თავს დაესხნენ გაფთრებული რასისტები. თავის გადასარჩენად ზანგები პასტორ ბენჯამინ ჩეივეზის მეთაურობით ადგილობრივ ეკლესიაში შეიხიზნენ. საქმეში პოლიცია ჩაერია. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რასისტები დაეკავებინათ, ნეხრიგის დამცველებმა 10 ზანგი დააპატიმრეს, რომლებსაც შეთითხნილი ბრალდებით საბოლოო ანგარიშით 282 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. „უილმინგტონელი ათეულის“ დასაცავად გამართული მრავალრიცხოვანი მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ უკანონო განაჩენის გაუქმებას.

ხურათებზე: (ზემოთ) ბ. ჩეივეზს ხელში უჭირავს ვინმე ა. ჰილის განცხადება, რომელშიც იგი აღიარებს, რომ ხელისუფლების მოქრთამვით მან ცილი დასწამა ზანგ აქტივისტებს; (ქვემოთ) „ვიხსნათ „უილმინგტონელი ათეული“ — ასეთი ლოზუნგით ვაშინგტონის პროგრესული საზოგადოებრიობა ეცნობა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ ბ. ჩეივეზისა და მისი ამხანაგების ბრძოლის ამბავს.

აღნ.-საკდესის ფოტო.

ეროვნული ინფორმაციის ბიუროსეფა

კორუფცია

ტოკიო. იაპონიის პრესაში „ლოკჰიდის“ სკანდალური საქმის გამოძიების შესახებ მასალებთან ერთად სულ უფრო ხშირად ჩნდება ამერიკის მეორე დიდი თვითმფრინავსაშენებელი ელი კომპანიის „ბოინგის“ სახელწოდება. თურმე მასაც ჰყოლია იგივენტები და „კონსულტანტები“ საზღვარგარეთ და მათ შორის, როგორც ვაზეთები წერენ, იაპონიის მთავრობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. პრესის აზრით მათი ვალიანების ვამოქვეყნებას შეიძლება მოჰყვეს ახალი სკანდალი.

უმუშევრობა

ლონდონი. ინგლისში მილიონზე მეტი უმუშევარი ქალია. ვაზეთ „ივნინგ სტანდარდს“ მოჰყავს ასეთი მონაცემები და ხაზს უსვამს, რომ ეს სამჯერ აღემატება ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს.

დამნაშავეობა

ნიუ-იორკი. ქურდობა გატეხით, რასაც დაზღვევის ფედერალური ბიუროს აგენტები სჩადიან, შეთქმულებანი მკვლელობის მიზნით, რომლებსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ამზადებს, „შავი ხიების“ შედეგები, ტელეფონით ლაპარაკის მასობრივი მიყურადება და საუბრების ფარული ჩაწერა ფირზე — ყოველივე ეს „ცივი ომის“ წლებში დაწყებული „ანონის დარღვევათა კულმინაცია გახდა, წერს გაზეთი. ნიუ-იორკ ტაიმსი“.

ჯორჯ ბოლზი

ეს საინტერესოა

ქალთა დღეგრძელობის საიდუმლოება

„ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი“, ჟურნალი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე კაცებისა და, როგორც მოსახლეობის აღწერის ბიუროს მოხსენება წინასწარმეტყველებს, ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მომავალი 40 წლის მანძილზე. სტატისტიკის მიხედვით, კაცები ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალოდ 67,6 წელიწადს ცოცხლობენ, ქალები — 75,3 წელიწადს, ანუ თითქმის 8 წლით უფრო დიდხანს. საუკუნის დასაწყისში ეს განსხვავება 2-3 წელიწადს არ აღემატებოდა.

მართალია მეცნიერებს დარწმუნებით არ შეუძლიათ ამის თქმა, თუ რატომ არის ასეთი განსხვავება ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობაში, მაგრამ მათი მეტი წილი ვარაუდობს, რომ ეს მოვლენა გენეტიკური თავისებურებების ბრალია. „დადგენილია, რომ ქალები ყოველთვის კაცებზე უფრო დიდხანს ცოცხლობენ“, — განაცხადა ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა რობერტ არმსტრონგმა. როგორც ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის პროფესორი დოქტორი ესტელ რეიმი ამბობს, მნიშვნელოვანი ფაქტორია გულის დაავადებების მიმართ ქალის ორგანიზმის უკეთესი ბრძოლისუნარიანობა. ამ დაავადებებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანდაზმულთა სიკვდილიანობის მიზეზთა ნუსხაში პირველი ადგილი უჭირავს.

ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში ჩატარებული ცდების დროს დოქტორებმა რეიმმა, პიტერ რამველმა და მალკოლმ ჯონსონმა აღმოაჩინეს, რომ ქალის თრომბოციტები — სისხლის შედედებაში მონაწილე ელემენტები — ნაკლებად განიცდიან პათოლოგიურ ცვლილებებს, ვიდრე მამაკაცის თრომბოციტები. სისხლის შედედება კი მნიშვნელოვანი ფაქტორია გულის დაავადებების დროს, რომლებიც მეტ წილად მამაკაცების სიკვდილის მიზეზია.

„გულით ავადდებიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები, ოღონდ ქალები „ვვეიან“, — განაცხადა დოქტორმა რეიმმა.

არის საფუძველი ვივარაუდოთ, ამბობს დოქტორი რეიმი, რომ ისეთი ჰორმონის ზემოქმედების შედეგად როგორც ადრენალინია, მამაკაცების სისხლის წნევა უფრო მაღლა იწევს, ვიდრე ქალებისა, როგორც ცნობილია, მაღალი სისხლის წნევა ხელს უწყობს გულის დაავადებების განვითარებას.

თამბაქოს წევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია შეამციროს ქალებისა და ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის მზარდი განსხვავება. ტრადიციულად კაცები ქალებზე უფრო ბევრს ეწევიან, და თამბაქოს წევით გამოწვეული ფილტვების კიბოც მათ შორის სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მეცნიერთა აზრით, ახლა, როცა ქალებს შორის თამბაქოს წევა რამდენადმე გავრცელდა, ქალთა ადრეულ ასაკში ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობა, როგორც ჩანს, გაიზრდება.

ჯ. კარტერის ეკონომიური პროგრამა

პეკინში

შრომა და კაპიტალი

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი კონცერნის — „ფორდ მოტორის“ გაფიცულ ავტომობილმშენებელთა პიკეტი (ხურათზე). შეუპოვარი ბრძოლით 170-მა მუშამ აიძულა მეწარმეები დათანხმებოდნენ მათ მოთხოვნას ხელფასის მომატების შესახებ.

ჩვენი კომენტარი

რატომ გადადგა პრემიერი?

მთავრობის კრიზისი ისრაელში

ისრაელში 1977 წელი მთავრობის კრიზისით დაიწყო. პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი გადადგა, გადაყენებულია აგრეთვე, რამდენიმე მინისტრი.

პრემიერის გადადგომის ფორმალური საბაბი გახდა მისი მთავრობის მიერ პარლამენტში უმრავლესობის დაკარგვა, რაც შედეგია ეროვნული რელიგიური პარტიისაგან ენესეტის ათი დეპუტატის თაოზიციაში გადასვლისა.

გადადგომამდე ერთი კვირით ადრე ისრაელის პარლამენტში რელიგიური დაჯგუფების წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ იმის გამო, რომ მან „უგულებელყო ეუდეველთა სარწმუნოება, როცა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების „ფ-15“ პარტიის მიღებასთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონია შაბათს მოაწყო“. ენესეტში მწვავე კამათი გაიმართა და პრემიერ-მინისტრი ცდილობდა დაეწყნარებინა ოპოზიცია, რომ ცერემონია დამთავრდა 17 წუთით ადრე, ვიდრე შაბათი დადგებოდა, და რომ მას რელიგიური კანონი არ დაურღვევია. მაგრამ დეპუტატებმა ეროვნულ-რელიგიური პარტიისაგან, მათ შორის ორმა მინისტრმა, რაბინს მხარი არ დაუჭირეს. მაშინ პრემიერი იძულებული გახდა „ურჩი“ მინისტრები პოსტიდან გადაეყენებინა და თვითონაც გადადგა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო ისრაელის ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის ფორმალური მხარე.

სინამდვილეში კი იგი წარმოშვა იმ სერიოზულმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა სიძნელეებმა, რომლებსაც ქვეყანა განიცდის.

ამ ცოტა ხნის წინათ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი წერდა: „ისრაელის მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას უკეთეს შემთხვევაში შეიძლება „დანაკუწებული“ უწოდო, შეუნერებელია ინფლაცია, გაიზარდა სამომხმარებლო ფასები, ხოლო გაფიცვები საზოგადოებრივ სექტორში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“. ამავე პერიოდში ინგლისური „ფაინენშლ ტაიმსი“ აღნიშნავდა: „კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიც ისრაელი აღმოჩნდა უწინარეს ყოვლისა სამხედრო საჭიროებისათვის მისი წინანდელი და ახლანდელი ხარჯების შედეგია“.

აი ამ დაგანზოს დამადასტურებელი ზოგიერთი ფაქტიც: შარცხადია, ასეთი ეკონომიური უმწეობისათვის ისრაელის მშრომელთა მასები მთელ პასუხისმგებლობას რაბინის მთავრობასა და ქვეყნის მმართველ შრომის პარტიას აკისრებდა.

ეს პარტია მეთაურობდა საკმაოდ მერყეკ მთავრობის კოალიციას, მას კნესეტში მხარს უჭერდა 120 დეპუტატიდან 67. ამასთან გრძნობდა რა მოსახლეობაში ავტორიტეტის და გავლენის შესუსტებას, შრომის პარტიის ხელმძღვანელობა მმართველი კოალიციისათვის განზრახ ძირის გამოთხრის, პარლამენტის დათხოვნისა და მისი ვადამდელი არჩევნების გზას დაადგა. როგორც ცნობილია, არჩევნები დანიშნული იყო შემოდგომაზე. ახლა კი მთავრობის კრიზისის გამო იგი მაისის ბოლოს გაიმართება. მანამდე რაბინის კაბინეტს დროებითი მთავრობის ფუნქციები ეკისრება.

რატომ დასჭირდათ შრომის პარტიის თავაკაცებს ხელოვნური მთავრობის კრიზისი? მთელი რიგი მიზეზების გამო. ჯერ ერთი, ისინი შიშობდნენ, რომ შემოდგომამდე მათი პარტიის პოლიტიკური აქციები იმდენად დაეცემოდა, რომ იგი გამანადგურებელ მარცხს განიცდიდა. მეორე, მმართველი პარტიის სტრატეგები იმედოვნებდნენ, რომ საარჩევნო კამპანიის დაჩქარება მათს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს შესაძლებლობას არ მისცემს ეფექტიანად გამოიყენონ შექმნილი ეკონომიური სიძნელეები ამომჩეველთა ხმების გადაბირებისათვის, და ბოლოს, რაც მთავარია, გადამდელი არჩევნები, მათი აზრით, შესაძლებლობას არ მისცემს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამართლიანი მოწესრიგებისათვის მებრძოლ ძალებს გაიფარეთონ გავლენა ქვეყანაში, რომელმაც შემოდგომისათვის შეიძლება ტელავივი მმართველებისათვის არასასურველი მასშტაბი მიიღოს.

ახლანდელ მთავრობის კრიზისს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ასპექტი აქვს. ტელ-ავივს სურს ამ კრიზისის დახმარებით მიაღწიოს ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ჟენევის საზავო კონფერენციის გადადებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით მარტის დამლევამდე უნდა განახლდეს.

მაგრამ რაც დრო გადის ისრაელის მოსახლეობის ფართო ფენები სულ უფრო მწვავედ გრძნობენ სიონისტური მმართველი წრეების დამოუკიდებელ ავანტიურისტულ კურსს, ქვეყნის ეროვნული კატასტროფით რომ ემუქრება. და როგორც ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ვილნერმა ამის წინათ გამართულ პარტიის XVIII ყრილობაზე აღნიშნა, ერთადერთი ალტერნატივა მთავრობისა და უკიდურესი მემარჯვენე წრეების აგრესიული პოლიტიკის მიმართ უნდა გახდეს ისრაელის ყველა რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკური ძალების დარაზმვა, მშვიდობისა და დემოკრატიის ერთიანი ფრონტის შექმნა მომავალ კნესეტის არჩევნებში, რათა საკადრისი პასუხი გასცენ მემარჯვენე ძალებს შემოტევის და არ დაუშვან ქვეყნის ახალი ომში ჩათრევა.

გ. სამსონაძე.

ეს ეკონომიური ფაქტორი

ეროვნული ინფორმაციის ბიუროს ანალიზი

ეროვნული ინფორმაციის ბიუროს ანალიზი

ეროვნული ინფორმაციის ბიუროს ანალიზი

5 მილიონიანი საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქენი

5 მილიონიანი საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქენი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის მოწინავე სტუდენტები (მარცხნიდან) — **ვ. ნაცვლიშვილი, ლ. გაიდაური, მ. ნაკაიძე, ნ. ზვიადაური, ლ. სეფიაშვილი** და **დ. მგალობლიშვილი.**

გ. გოგიჩაიშვილის ფოტო.

რაც გულს უხარია

გლოველთა პატარძალი

ოზი. (საკ. კორ.). სამედიცინო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ნადია სოკოლოვამ შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო მუშაობა. მალე კი იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ომი დაიწყო და პატრიოტი ქალიშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც მრავალ დაჭრილ მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე. სწორედ აქ შეხვდა იგი მძიმედ დაჭრილ ქართველ ვაჟკაცს გლოველ ბესარიონ ბალაშვილს. ისინი დაქორწინდნენ და ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ.

გლოველთა პატარძალმა მუშაობა სოფლის სამედიცინო პუნქტში დაიწყო და წლების მანძილზე ერთგულად ემსახურა მაღალმთიანი სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეს.

ახლახან მადლიერმა თანასოფლელებმა ნადია სოკოლოვა პენსიაზე გააცილეს. საზეიმო საღამოზე მთელი სოფელი მოვიდა.

ვ. ცირეკიძე.

საახალწლო საღამოს...

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს დედაქალაქს შეემატა კიდევ ერთი მშვენიერი ნაგებობა — სასტუმრო „აჭარა". და აი სასტუმროს თანამშრომლებმა და სტუმრებმა პირველად იზეიმეს ახალი წელი ახალ შენობაში. სასტუმროს კომკავშირის კომიტეტმა მოაწყო საახალწლო საღამო, რომელზეც მდივანი თ. შარიქაძე ახალგაზრდების სახელით გულითადად მიესალმა სტუმრებს. საღამოს პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ვიქტორინებს, კონკურსებს, გათამაშდა პრიზები. ზეიმი იმანაც დაამშვენა, რომ ამ დღეს ახალგაზრდა თანამშრომლებმა, კომკავშირელებმა ნ. გობიაშვილმა და თ. ტერაშვილმა თავიანთი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს. კომკავშირულ ქორწილში შეესწრო მეგობრობის, საუვარულის, კოლექტივის სადღეგრძელოები. ამავე საღამოზე აღინიშნა კომკავშირელ მ. ობოლაძის დაბადების დღეც.

მ. კორინთელი.

მოსწავლეები — ბამელებს

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). რაიონის მკვიდრი ბონდო ხორდია იმ ქართველ ვაჟკაცთა რიგებშია, ვინც საუკუნის დიდი სარკინიგზო მშენებლობის — ბამის ეპოპეაში მონაწილეობს. ახლახან მან ორხამურის რვაწლიანი სკოლის კოლექტივისაგან გულთბილი წერილი და ამანათი მიიღო, ფოსტამ ამანათი სწორედ იმ დროს მიიტანა, როცა ციმბირის ქართულ დაბაში ნია-გრუზინსკაიაში პირველი მატარებელი მივიდა. დიდი იყო ამით გამოწვეული სიხარული...

ბ. ხორდიამ საპასუხო წერილი გამოუგზავნა სკოლის მასწავლებლებს, პიონერთა ხელმძღვანელს, მოსწავლეებს.

ფიგურული სრიალი

კ ვ ლ ა ვ ე. ვოლორეზოვა

ვილნიუსი „უნივერსალის" სპორტის სასახლის ყინულზე მიმდინარეობს 41-ე საკავშირო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ქალთა ერთეულებში ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი მოსკოველმა ელენე ვოლორეზოვამ. გამარჯვებულმა 184 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა მისი თანამგუნდელი ლიუდმილა ბაკონინა — 169,66 ქულა, მესამეზე — ლენინგრადელი მარინე კულიბიცკაია — 167,72 ქულა.

ვაჟთა შორის ტურნირს დამაჯერებლად ლიდერობს ალადიმერ კოვალიოვი, რომელმაც ამასწინათ მოიგო გაზეთ „ნუველ დე მოსკუს" პრიზი. მომდევნო ადგილებზე არიან იური ოვჩინიკოვი და სერგეი ეოლეკოვი.

სპორტულ ცეკვებში დაწინაურდნენ მსოფლიოს 1975 წლის ჩემპიონები ირინე მოისეევა და ანდრეი მინენკოვი.

სპორტული 1977 წელი

ვრცელი და საინტერესოა მომდინარე წლის საკავშირო შეჯიბრებების კალენდარი. 300-ზე მეტი ტურნირი გაიმართება წლეულს სპორტის 51 სახეობაში, რომლებიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 130 ქალაქშია დაგეგმილი. უძლიერესი ათეულები შეეჯიბრებიან ერთმანეთს 102 საკავშირო ჩემპიონატსა და სსრ კავშირის თასის 47 გათამაშებაში.

სპორტული წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მეორე საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები. ამ დიდი სპარტაზიადის (სპორტის 27 სახეობაში) ფინალში, რომელიც 14 ქალაქში გაიმართება, გამოვა 10 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი 19 წლის ასაკამდე.

დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე იუნიორთა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებებს, რომელთა რიცხვი 73-ს აღწევს. როგორც ყოველთვის, წლეულსაც გაიმართება პოპულარული ტურნირები „ოქროს შაბა", „მოწნული ბურთი", „საოცარი შაში", „ტყავის ბურთი" და სხვა.

„სპორტლოტო"

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 5 იანვრის ტირაჟი „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5000 მანეთს (18 ბარათი); ოთხისა — 163 მანეთს (1.307); სამისა — 4 მანეთს (37.051).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერც აქ გამოიცნო ვერავინ; ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 2.838 მანეთს (20 ბარათი); ოთხისა — 57 მანეთს (1.130); სამისა — 3 მანეთს (21.876).

ტირაჟის მოგებანი გაიცემა 16 იანვრიდან 17 თებერვლამდე.

• • •

შაბათის „სპორტლოტოს" (36-დან 5) 1977 წლის 8 იანვარს გამართული მე-2 ტირაჟის შედეგები:

პირველი ტირაჟი: 25 (ციგაობა), 15 (ძიუ-დო), 20 (თხილამურებტრამპლინი), 16 (ცხენოსნობა), 24 (ჭელბურთი).

მეორე ტირაჟი: 21 (საიალქნო სპორტი), 0 (კლასიკური ჭიდაობა), 3 (ბობსლეი), 14 (ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი), 18 (მძლეოსნობა). (საკდესი).

ესპუტვრის ღიეილი

ვინ როგორ თბება ამ ზამთარში.

მ. აბაშიძის ნახატები.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში თოვდა, ხოლო ბათუმში, ქობულეთში, ანასეულსა და ლანჩხუთში წვიმდა. ტემპერატურა ბაზში 4-7 გრადუსი სითბო იყო, მთაში — 2-6 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში თოვდა. ტემპერატურა ბაზში 0-5 ვრადუსი ყინვა იყო, ხოლო მთაში — 4-9 გრადუსი ყინვა.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 2 გრადუს ყინვას უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ინიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მცირე ნალექი, უმეტესად სანაპირო რაიონებში, სუსტი ქარი. ტემპერატურა ბაზში 1-6 გრადუსი სითბო იქნება, მთაში — 0-5 გრადუსი ყინვა.

ხვალ-ზეგ საქართველოში მოსალოდნელია ინიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მცირე თოვლი, უმეტესად დასავლეთ რაიონებში, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, გზები მოყინულია. ტემპერატურა ბაზში 0-5 გრადუსი ყინვა, ხოლო მთაში — 3-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში უნდა მოველოდეთ ინიშვნელოვან მოღრუბლულობას, მცირე თოვლს, ნისლს, სუსტ ქარს. გზები მოყინულია. ტემპერატურა 0-2 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისის ჟურნალისტთა მეხუთე საქალაქო ოლიმპიადის დელეგატების საქმიანობის

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიურო იუწყება, რომ 1977 წლის 12 იანვარს, დღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14, მეხუთე სართული) მოწვეულია

თბილისის ჟურნალისტთა მეხუთე საქალაქო კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, 12 იანვარს — დილის 9 საათიდან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის შენობაში, ლენინის ქ. № 14, მეოთხე სართული, ტელეფონები 93-15-00, 93-95-17.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის ბიურო.

საქართველოს სსრ სახმშენი; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; საპროექტო ინსტიტუტი „საქალაქმშენსახპროექტი".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და საპროექტო ინსტიტუტი „საქალაქმშენსახპროექტი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ხუროთმოძღვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

გიორგი ილიას-ძე ლეჟავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტორი

გიორგი ილიას-ძე ლეჟავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲙᲘᲜᲝᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

მოვიფიქრე, გილოცავ!

ფილმში, რომელიც რეჟისორმა ე. გავრილოვმა ა. უსოვის სცენარის მიხედვით დადგა, გადმოცემულია ამბავი 13 წლის ბიჭისა. მან ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ თავისი თანატოლებისგან სრულიად განსხვავდებოდა. იგი თანაკლასელებს თამაშსა თუ ცელქობაში მხარს ვერ უბამდა. მისმა საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადასვლამ კლასში არავინ არ დაამჭუხრა, გული არავის დასწყვიტა. იური ჩერნოვმა გადაწყვიტა ახალ თანაკლასელთა შორის აღარაფრით გამორჩეულიყო და კიდეც მოახერხა.

მთავარ როლებში ვიხილავთ ა. ერმოვს, ნ. ტენიშჩევას, ი. იურიევს (მოსფილმი).

არაკი სიყვარულზე

ცნობილი ყაზახი რეჟისორის ბულატ მანსუროვის ახალ ფილმში „არაკი სიყვარულზე" ორი შეყვარებული წყვილის ისტორიაა მოთხრობილი.

სცენარის ავტორები არიან ე. ტროპიჩინი, ბ. მანსუროვი. დამდგმელი ოპერატორია ე. დაულბაევი.

(ყაზახფილმი).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲙᲐ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.00—ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00—„შეგისწავლოთ რუსული ენა", 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ხაბისხის ზეიმი", გადაცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — „მუსიკალური კიოსკი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კინოფაფინა, 13.55 — „მუსიკა-76", 15.15 — ბავშვებისათვის — თოჯინური სპექტაკლი „სამი ოფი". ფერადი გამოსახულებით, 15.35 — საგზაო კოდექსი, 16.00 — კინოს მოკვარულთათვის, 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უოლის ნაკრძალი", 17.10 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.50 — კინოხარკვეზი — „ტუნდრა — ფართო გზა", 18.00 — „საერთაშორისო პანორამა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — „ალიგაზარდობისათვის — „ახლის ძიებაში". ფერადი გამოსახულებით 19.15 — საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ვილნიუსიდან), 19.40 — „კინოძოგზაურობის კლუბი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „ესტრადა და თანამედროვეობა". ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 22.00 — „ეროემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სურვილების ავტომატი", 19.20 — კონცერტი, 20.05 — დოკუმენტური ფილმი „ლეონიდ სობინოვი", 20.25 — ფერადი მხატვრული ფილმი „წითელი კარავი". მეორე სერია (ქართულ ენაზე).

3.

5 მილიონიანი საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქენი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის მოწინავე სტუდენტები (მარცხნიდან) — **ვ. ნაცვლიშვილი, ლ. გაიდაური, მ. ნაკაიძე, ნ. ზვიადაური, ლ. სეფიაშვილი** და **დ. მგალობლიშვილი.**

გ. გოგიჩაიშვილის ფოტო.

კუბელი პირველი

ჩვენი თანამეგობრები შინ და გარეთ

— **შვილი** შეგეძინოთ,— უნდოდათ ეხარებინათ კუბაში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს ნოდარ სვანიძისათვის. მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას. სამშობლოდან მოსული მოლოცვის დეპეშა უნდა გადაეცათ. და ბრში ჩალაგამოვლებულივით დარჩნენ, როცა ნოდარმა დეპეშა ცივად უკან მიუბრუნა და ღიმილით დაუმატა: ეგ ალბათ სხვა სვანიძე იქნება.

შეამოწმეს და ნოდარ სვანიძის გარდა კიდევ სხვა ორი საბჭოთა სპეციალისტი აღმოჩნდა კუბაში სვანიძის გვარით. ერთი მოსკოველი ქიმიმრეგბმულობის მუშაკი იყო, მეორე კი — შაქრის მრეწველობის ინჟინერი საქართველოდან. სხვათა შორის, ინჟინერიც წარმოშობით სწორედ იმ სოფლიდან — ბაჯიდან, სწორედ იმ კუთხიდან — სვანეთიდან უბნიდან იყო, საიდანაც ნოდარია.

ბაჯი ქვემო რაჭაშია, რიონგაღმა მწვანე ფერდობზე შეფენილი ერთი პატარა სოფელია ქრებალოსთან ასამდე კოძლი მცხოვრებით. პატარა კია, მაგრამ არც მთლად ისე უცნობია. ამ სოფლიდან იყვნენ ამბაკო ჭელიძე — ერთ დროს თეიერანში საბჭოთა ბანკის თანამშრომელი და ომარ ხაიძის ცხობილი მთარგმნელი, ალექსანდრე სვანიძე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკების საამართველოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ჩვენი სახელოვანი პოეტი ოთარ ჭელიძე და...

მრავლისმეტყველი ფაქტია, ხომ მართალია, თავისუფლების კუნძულზე სამი სვანიძე აღმოჩნდა და აქედან ორი ბაჯიდან.

... სსრ კავშირისა და კუბის სამთავრობათშორისო შეთანხმებით 1973 წლის მაისში საბჭოთა სამედიცინო მრეწველობის სპეციალისტების ჯგუფი კუბაში ჩავიდა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქართველი მეცნიერი, სამკურნალო მცენარეთა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამერიკიკავკასიის ზონალური სადგურის (ქობულეთი) დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ სვანიძე. ჯგუფს ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა საკითხი უნდა შეესწავლა, სვანიძე კი სამკურნალო მცენარეთა ნედლეულის წყაროებსა და გადამუშავების დონეს უნდა გასცნობოდა.

აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ სამკურნალო მცენარეთა მოყვანისა და სამრეწველო გამოყენების კუბელთა მთელი ცოდნა და გამოცდილება ითით ამოიწურებოდა, რომ ნესვის ხის ნაყოფიდან კუბარული წესით იღებდნენ ბალზამს, ეკალიპტიდან (იქ მთელი ტყეებია) ამუშავებდნენ ზეთს და ძოყადათ გვირილა. ეს იყო და ეს.

ბაგდადზე კუბის რუკაა. მასზე ბევრად ადგილს მონიშნულია ეს ადგილები, სადაც ნოდარ სვანიძისა და მის კუბელ თანამოძმეთა ექსპედიციები დადიოდა და ადგილობრივი ტროპიკული ფლორიდან არჩევდა და აგროვებდა სამკურნალო მცენარეებს, რომ ისინი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. ასე გადასერეს მათ ერთად, მეგობრულად თავისუფლებს კუნძული აღმოსავლეთიდან დასავლეთით მისი ექვსიათე პროვინცია — ჰავანა, ორიენტე, კამაგუეი, პინარ დელ-რიო, სანტა-კლარა, მატანზა და კუნძული ჰენოსი თავისი ჯუნგლებით.

კუბის რევოლუციურმა მთავრობამ სიამოვნებით მიიღო საბჭოთა მხარის წინადადება: ჩვენი სპეციალისტების დახმარებით შეექმნა საკუთარი სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და გამოყენების საკოორდინაციო ცენტრი — საცდელ სადგური.

გაჩაღდა დიდი საქმეები და ორგანიზაციული მუშაობა. კუბის დედაქალაქ ჰავანიდან 46 კილომეტრზე, გუთრა დე მელენაში, ზღაპრული სილამაზის ადგილას გამოიყო საკოლექციო ნაკვეთი. შეიქმნა და დაკომპლექტდა სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგური. ასეთი სადგური, შეიძლება ითქვას, ახლა პირველია მთელ ლათინურ ამერიკაში. ნაკვეთზე თავი მოუყარეს 200-ზე მეტი სახეობის მცენარეებს... აქ იყო აგრეთვე სვანიძის მიერ ქობულეთიდან ჩამოტანილი ორმოცამდი მცენარის ნერგი თუ თესლი. მაგრამ ადგილზე მხოლოდ რვა სახისამ იხარა, მათ შორის თორკმლის ჩაი, პასიფლორამ, დანაკეთულმა ძაღლყურძენამ, რაულფიამ, დიოსკორეამ.

აი რას წერდა „პრავდაში" გაზეთის ჰავანელი საკუთარი კორესპონდენტი გ. ზაფესოვი: ერთი წლის წინათ ამ მცენარის (იგულისხმება „თირკმლის ჩაი") ოთხი ჩითილი კუბაში საბჭოთა მეცნიერმა ნ. ვ. სვანიძემ ჩამოტანა. სამკურნალო მცენარეთა საცდელ სადგურში ახლა უკვე ოცდახუთი ათასია.

მთელ სამუშაოს საბჭოთა სპეციალისტის ხელმძღვანელობით ახორციელებდა ცხრა კუბელი ენთუზიასტი, რომლებსაც დაუზარებლად და უანგაროდ გადასცემდა თავის გამოცდილებას ქართველი მეცნიერი.

პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობის გარდა და მის პარალელურად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც მიმდინარეობდა. ამ მუშაობის შედეგები ავტორთა ჯგუფის სახელით მისმა ხელმძღვანელმა ნოდარ სვანიძემ კუბის პირველ ფარმაცევტულ ყრილობას მოახსენა, ხოლო შემდეგ ამავე თემაზე მოხსენება წაიკითხა კუბელი და საბჭოთა მედიკოსების პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ჰავანაში გაიმართა.

ოთხჯერ მოუხდა კუბაში ყოფნა ჩვენს თანამემამულეს. ერთი წელიწადი და რვა თვე გაატარა მან თავისუფლების კუნძულზე. იგი აღტაცებულია იმ დიდი და საყოველთაო-სახალხო შემართებით, რომელსაც მოეცალა თავისუფლების მთელი კუნძული.

— დროებითი სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, ზოგჯერ მატერიალური ხელმოკლეობის მიუხედავაც, რომელიც ქვეყნის ზრდისა და აღზევების გზაზე მუდამ ხდება ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხს, — ამბობს ნოდარი, — ვხედავდი, რა ერთგულად და თავდადებით, რა ენთუზიაზმითა და გატაცებით შრომობდნენ კუბელები.

ჩემი ეს შთაბეჭდილებები კუბაზე და კუბელებზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმ ადამიანებთან უშუალო შეხვედრებითა და ერთობლივი მუშაობით მიყალიბდებოდა, რომლებსაც ყოველდღიურად ვხვდებოდი, ესენი იყვნენ საცდელი სადგურის თანამშრომლები ანგელა სანჩესი, პედრო როდრიგესი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკები, კუბელი მოღვაწეები...

ეს იყო სამი წლის წინათ.

კუბელთა დელეგაცია ჯერ მოსკოვში ჩავიდა. მათ ერთი კვირა დაჰყვეს სამკურნალო მცენარეების საკავშირო ინსტიტუტში, მის ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტალურ ბაღებში, ინსტიტუტის ბოტანიკურ ბაღში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, კრასნოგორსკის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადასამუშავებელ ქარხანაში.

აი, ახლა ისინი ქობულეთში არიან ამერიკიკავკასიის ზონალურ სადგურში, თავიანთ კოლეგასთან და მასწავლებელთან ნოდარ სვანიძესთან. გულთბილი და ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრა: ანგელა და პედრო უყვებოდნენ ნოდარს, თითქოს ანგარიშს აბარებდნენ, რა გააკეთეს, რა ულხინდათ, რა უჭირდათ.

თხუთმეტი დღის განმავლობაში ნ. სვანიძე იყო მათი მასპინძელი და მეგზური. ისინი აქ ერთმანეთს შეხვდნენ როგორც კოლეგები, როგორც ძველი მეგობრები. აქ ქართულ მიწაზე აგრძელებდნენ კუბაში დაწყებულ თანამშრომლობას. და როცა მათს საუბრებს ვისმენდი, ლაბორატორიებსა და საცდელ ნაკვეთებში, დირექტორის კაბინეტში თუ მეურნეობის ფართობებში, ყველგან ეგრძნობოდა უშუალობა, კარგი გაგებით შინაურული დამოკიდებულება. ვხედავდი, ზოგჯერ, თუ უთქმელადაც კი როგორ ესმოდათ ერთმანეთისა, მით უმეტეს, როცა ენის უცოდინარობა ზღუდედ არ ეღობებოდათ. ეს ზღუდე გადაეულახავს ნოდარ სვანიძეს და სტუმრებს ესპანურად ელაპარაკება.

იქ ყოფნის დროს ნოდარი აკვირდებოდა და ხანდახან აღმოაჩენდა ხოლმე, რომ ცალკეული სიტყვა საოცრად ჰგავდა მშობლიურ ქართულსა და იმ სიტყვებს იწერდა თავისთვის.

კუბელი მეგობრები ვრცელი პროგრამით გაეცნენ საცდელ ზონალურ სადგურს, მის სტრუქტურას და ამოცანებს, ბოტანიკის, ბიოქიმიის, მემცენარეობის ლაბორატორიებს. დაათვალიერეს დახურული გრუნტის საცდელი ნაკვეთები, სამკურნალო მცენარეების კოლექცია. გაეცნენ ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა ნედლეულის წარმოებისა და გადამუშავების საბჭოთა მეურნეობის საქმიანობას.

ანასეულში ყოფნისას მოხდა ისეთი რამ, რაც საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობისა და სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური თანამშრომლობის ნამდვილ მაგალითად გამოდგებოდა. იმ დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ გამოცდილების გადასალებად ჩამოსული ჩაის აზერბაიჯანელი სპეციალისტები — აზერბაიჯანის მებაღეობისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლენქორანის ფილიალის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს ფარმან ყულიევს (ანასეულის ინსტიტუტის მიერ მომზადებული მუშაკია, აქ გაიარა ასპირანტურა) და აზერბაიჯანის აგრარულ-საწარმოო გაერთიანების საწარმოო სამმართველოს უფროსს აკიფ გურაბნოს. მეორე მხრივ კი თითქოს გამეორდა კუბაში მომხდარი სვანიძეების ისტორია. ამჯერად ქართულ მიწაზე, მათთვის სრულიად მოულოდნელად ერთმანეთს შეხვდნენ კუბელები. ანგელა სანჩესი და პედრო როდრიგესი აქ, ანასეულში მხურვალედ გადაეხვივნენ თავიანთ ორ თანამემამულეს — მატილდა მალონიას და ჰულიო ურტატოს, რომლებიც კვალიფიკაციის ასამაღლებლად იყვნენ ჩამოსული.

გამოშვიდოგზეხისას ანგელა სანჩესმა მთხრა: გაზეთის საშუალებით მხურვალე მადლობა მინდა მოვახსენო თქვენს თანამემამულს ნოდარ სვანიძეს, ქართველ ხალხს და ყველა საბჭოთა ადამიანს უანგაროდ დახმარებისათვის.

პედრო როდრიგესმა მხიარულად დაუმატა, იმ შვილისა რა მოგახსენოთ, კინაღამ შეცდომით რომ მიიწერეს ნოდარ სვანიძეს, მაგრამ კომპანიორო — ამხანაგ ნოდარს რომ იქ მართლაც დარჩა პირშო, ეს კი ნამდვილია — გეორგა და მელანას საცდელი სადგური, ჩვენ კი შვილობილები ვართო.

ს. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

ქობულეთი.

სურათზე: ანგელა სანჩეს მორალესი, კარლოს იბანიესი, ნოდარ სვანიძე, პედრო როდრიგეს ფელიპესი, ასლან ინაიშვილი.

ნ. ანასტასიმვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380098 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 05220

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14